

დამატებული ღირებულების გადასახადის ფისკალური მნიშვნელობა და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

ლია ხელაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი
kheladze.lia@unik.edu.ge

ნათია კურდღლია

ეკონომიკის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
natiakurdgelia1976@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ზრდა; დამატებული ღირებულების გადასახადი; სახელმწიფო ბიუჯეტი.

J.E.L. classification: E6, O01 DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.07>

ციტირებისთვის: ხელაძე ლ., კურდღელია ნ., (2022) დამატებული ღირებულების გადასახადის ფისკალური მნიშვნელობა და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. ეკონომიკური პროფილი. ტ. 17, 2(24), გვ. 41-47. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.07>

ანოტაცია

ბიუჯეტში ფინანსური რესურსების მობილიზაციის კუთხით დამატებული ღირებულების გადასახადს სხვა გადასახადთა შორის წამყვანი პოზიცია უჭირავს. ანალიზი იმისა, თუ როგორია დამატებული ღირებულების გადასახადის ფისკალური მნიშვნელობა, როგორ ზემოქმედებს იგი ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე და ზოგადად ეკონომიკურ ზრდაზე, მეტად აქტუალურია. სწორედ არაპირდაპირი გადასახადები წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც გავლენას ახდენს პროდუქციის საბოლოო ფასის ფორმირებაზე, სამეწარმეო პირების მოგებაზე, მის რენტაბელობაზე და ზოგადად, სამეურნეო სუბიექტების ფინანსურ მდგომარეობაზე.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს

გაანალიზდეს, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია დამატებული ღირებულების გადასახადს, რა როლს ასრულებს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში და რა მექანიზმების მეშვეობით ახდენს ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე.

შესავალი

დამატებული ღირებულების გადასახადი წამყვან როლს ასრულებს როგორც ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში, ასევე სხვადასხვა დარგების განვითარებაში. უკანასკნელი წლების მანძილზე დამატებული ღირებულების გადასახადით (დღგ) დაბეგვრის სისტემა სულ უფრო ვითარდება, იხვეწება მისი ადმინისტრირების ღონისძიებები, წესდება გონივრული შეღავათები სხვადასხვა სახის საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე. დაბეგვრის მექანიზმი მეტად მიახლოებული ხდება ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა ნაკლოვანებები მაინც უხვად რჩება. უდავოა, რომ რაც უფრო სრულყოფილ სახეს მიიღებს არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის სისტემა, მით უფრო ეფექტიანად შეასრულებს ეკონომიკის მარეგულირებელ ფუნქციას. თავის მხრივ,

აღნიშნული გამოიწვევს წარმოების ზრდას, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას და ეკონომიკურ აღმავლობას.

თუ გადავხედავთ სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურას და მის შემოსულობებს, დავრწმუნდებით რომ დღგ-ის ფისკალური მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იზრდება, ვინაიდან სულ უფრო იმატებს იმ ფულადი საშუალებების ოდენობა, რაც აღნიშნული გადასახადის სახით მიედინება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე საგადასახადო სისტემაში დღგ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადასახადია. მისი აკრეფის სქემის შემუშავება 1954 საფრანგეთში შემოიღეს, ხოლო გერმანიაში მისი დაწესების იდეას „გაუმჯობესებული ბრუნვის გადასახადის“ სახელით 1918 წელს ჩაეყარა საფუძველი. 1958 წლიდან დღგ საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში გამოჩნდა, სწორედ ამ გადასახადის მეშვეობით ხდებოდა მათი საბიუჯეტო შემოსულობების 50%-ის ფორმირება.

1974 წლიდან დღგ ჩნდება დიდი ბრიტანეთის საგადასახადო სისტემაში, თუმცა მისი დაწესება მხოლოდ ფუფუნების საგნებზე განხორციელდა. დღესდღეობით დამატებული ღირებულების გადასახადი მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში არსებობს და მისი მეშვეობით მობილიზდება საგადასახადო შემოსავლების დიდი ნაწილი. მის ფართომასშტაბიან გავრცელებას ხელს უწყობდა მთავარი თვისება - თანხების სწრაფი და ეფექტური მობილიზება სახელმწიფო

ბიუჯეტში (Victor, 2010).

1960 წლის შემდეგ დღგ წარმატებით დაინერგა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მას აქვს უნივერსალური ბუნება და მისი დაბეგვრის არეალი ვრცელდება ბიზნესის ყველა სტადიაზე, შესაბამისად საგადასახადო ტვირთი ყველა სტადიაზე ნაწილდება. დღგ-ს რეჟიმების უმრავლესობა ხასიათდება მრავალფეროვანი განაკვეთებით, მრავალგვარი საშელავათო პირობებით და ა.შ. მთავარი თავისებურებები, რომლითაც დღგ-ს გადასახადი გავლენას ახდენს ეკონომიკაზე, არის: კონკრეტული საქმიანობების დღგ-საგან გათავისუფლების და გადასახადის უკან დაბრუნების გზების განსხვავებული შესაძლებლობები. (Enache, 2022).

დღგ-ის ამ მახასიათებლებების ყურადღებით და დეტალურად განხილვა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს დღგ-ს გადასახადის სწორი (ოპტიმალური) მოდელი, რომელიც იქნება მორგებული/მოსახერხებელი მეთოდი საგადასახადო წესრიგის ანალიზისათვის (პაპავა, 2015:82).

ის ფაქტი, რომ დამატებული ღირებულების გადასახადს მნიშვნელოვანი ფისკალური ფუნქცია აკისრია, ნათლად ჩანს საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლების ანალიზისას. ქვემოთ მოცემული მაჩვენებლები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის მეშვეობით მობილიზებული ფულადი საშუალებების ოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ცხრილი 1

2020-2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსულობების მაჩვენებლები (მლნ.ლარი)

გადასახადის სახეობა	2020 წელი	2021 წელი	2022წ. პირველი კვარტალი	2022წ. მეორე კვარტალი	2022წ. მესამე კვარტალი
საშემოსავლო გადასახადი	3 079,8	3 491,5	1 126,4	1 132,8	1 186,9
მოგების გადასახადი	919,4	1 015,3	690,0	448,9	421,8

დღგ	3 918,2	4 883,9	1 305,1	1 444	1 623
აქციზი	1 619,4	1 868,8	319,8	454,8	626,9
იმპორტის გადასახადი	74,4	86,4	22,4	26,6	35
სხვა გადასახადები	-247,2	93,6	224,4	-429,5	-374,1
სულ გადასახადების ჯამი	9 364,8	11 439,5	3 688,1	3 080,6	3 519,5

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://mof.ge/4568>

ბოლო წლებში დღგ-ის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა არა მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირების, არამედ ადგილობრივი ბიუჯეტის შევსების თვალსაზრისითაც. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და აღნიშნულის ნაცვლად შემოღებულ იქნა ადგილობრივ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში დღგ-ის ჩარიცხვა შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიხედვით. დღგ-ის 81% სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხება, ხოლო 19% - შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში. ამგვარი მიდგომა მრავალ განვითარებულ ქვეყანაში არის მიღებული. აღნიშნული მეთოდი თითოეული ადგილობრივ თვითმმართველი ერთეულისათვის დამატებითი სტიმულია, რადგან მათ ეძლევათ საშუალება, უფრო მიზნობრივად დაგეგმონ ბიუჯეტი, რომელიც შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკურ განვითარების საფუძველი იქნება.


გარდა ზემოთ აღნიშნული ფისკალური მნიშვნელობისა, დღგ და მისი განაკვეთის ცვლილება მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე (Зыченко, 2017). ზოგადად, არაპირდაპირი გადასახადები გავლენას ახდენს როგორც მოთხოვნაზე, ასევე მიწოდებაზე, ე.ი. ეკონომიკური ზრდის ფაქტორებზე, რამდენადაც ისინი შედიან საქონლისა და მომსახურების ფასში დანამატის სახით და ზრდის მათ ღირებულებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხილვა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს დღგ მოთხოვნასა და

მიწოდებაზე და შესაბამისად ეკონომიკურ ზრდაზე.

დღგ-ის გადახდა რეალურად მყიდველს ეკისრება, ნომინალურად კი მის გადამხდელად გამყიდველი გვევლინება. საბოლოოდ, მომხმარებელი ახორციელებს დღგ-ის გადახდას საქონლის ან მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას. მიუხედავად ამისა, დღგ-ს განაკვეთის აწევა ან დაწევა სასესებით არ იწვევს დაუყოვნებლივ ფასების ზრდას საქონელზე და მომსახურებაზე. დღგ-ს განაკვეთის ამალღებისას დაუყოვნებლივ იზრდება გამყიდველის ხარჯები (იხ.ნახ. 1)

ნახაზი 1

წონასწორობის წერტილის გადანაცვლება დღგ-ს განაკვეთის ზრდისას



დღგ-ს ზრდისას მიწოდების მრუდი S_0 გადაადგილდება S_1 დონეზე, რაც გამოიწვევს წონასწორობის წერტილის გადანაცვლებას. დგინდება მოხმარების ახალი წონასწორული მოცულობა - B წერტილში, სადაც P_1 ფასი მაღალია, ხოლო გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შემცირებული. გამყიდველი გაყიდულ საქონელზე იგივე თანხას იღებს

ფულად გამოხატულებაში, მაგრამ სხვაობა P_1 და P_0 -ს შორის მასთან არ მიდის - ის მიიქცევა ბიუჯეტში გადასახადის სახით. აღნიშნული ამცირებს გამყიდველის მოგებას და აქედან გამომდინარე, აფერხებს მისთვის გაფართოებული წარმოების შესაძლებლობებს, ზღუდავს ეკონომიკურ ზრდას.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობები სამართლიანია ელასტიური მოთხოვნის საქონლის შემთხვევაში, როდესაც ბაზარზე არის კონკურენცია. თუ მოთხოვნა დაბალელასტიურია და საქონელს ბაზარზე უჭირავს მონოპოლიური მდგომარეობა, საქონლის ფასის ზრდა დღგ-ს კურსის ზრდის გამო ვერ შეამცირებს მოთხოვნის მოცულობას. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დღგ-ის განაკვეთის უსაფუძვლო ზრდა გამოიწვევს რიგ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ზრდას და მოთხოვნის შემცირებას, საბოლოოდ კი ეს უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აღსანიშნავია, რომ დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობა უფრო მწვავედ განიცდის დღგ-ს კურსის მომატებას, ვიდრე საზოგადოების მაღალშემოსავლიანი ნაწილი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღგ, მისი განაკვეთის ცვლილება უდავოდ


დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე.

თუ გადავხედავთ ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდის დინამიკას, დავრწმუნდებით, რომ შეინიშნება ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. ამის ერთ-ერთ მიზეზად სხვა უამრავ ფაქტორთან ერთად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლოდროინდელი ცვლილებები დღგ-ში, რამაც უფრო ლოიალური გახადა არაპირდაპირი გადასახადით დაბეგვრის სისტემა.

მიგვაჩნია, რომ მოქმედი დაბეგვრის მექანიზმი გამოირჩევა მეტი ჰუმანურობით გასულ წლებთან შედარებით. ამასთანავე დაბეგვრის პრინციპები და წესები მაქსიმალურად დაახლოებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ანალოგიურ მონაცემებთან. ყოველივე ზემოაღნიშნული კი საფუძველია იმისა, რომ კონკრეტულმა სამეწარმეო სუბიექტებმა იგრძნონ უფრო მეტი თავისუფლება დაბეგვრის თვალსაზრისით, მაქსიმალურად მიმართონ თავიანთი ძალისხმევა თვითგანვითარებასა და ბიზნესის გაფართოებაზე, რაც გააძლიერებს თითოეულ მათგანს, გაზრდის გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას, ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ოდენობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ცხრილი 2

მშპ სა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები 2008-2022 წლებში
(%-ად მშპ-თან, მლნ. ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

დასკვნა

სახელმწიფოს წინაშე არსებული სხვადასხვა გამოწვევები მოითხოვს გადასახადების ფისკალური ფუნქციის გაძლიერებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და სტიმულირებისათვის აუცილებელია საქონელმწარმოებლების მხარდაჭერა.

აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ დღგ-ით დაბეგვრის სისტემაში არსებულ რამდენიმე პრობლემაზე, რომლებიც ნეგატიურ გავლენას ახდენს სამეწარმეო სუბიექტების საქმიანობაზე და აფერხებს მათ განვითარებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება მივიჩნიოთ სიტუაცია ფასების ზრდის ტენდენციასთან დაკავშირებით. არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ ადგილი აქვს ფასების ზრდას თითქმის ყველა სექტორში. დღგ-ის რეგისტრაციისათვის დადგენილ ზღვარზე მიღწევა სულ უფრო მარტივი ხდება, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ახლად დარეგისტრირებულ მეწარმე სუბიექტებს სწრაფად უწევს დღგ-ს სავალდებულო რეგისტრაციის გავლა, რაც მათთვის მძიმე საგადასახადო ტვირთია. აღნიშნული იწვევს სამეწარმეო სუბიექტების დასუსტებას და აფერხებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში. ვფიქრობთ, აუცილებელია გადაიხედოს დამატებული ღირებულების გადამხდელად რეგისტრაციის ზღვარი ან გახდეს დიფერენცირებული, რაც ახლად გააქტიურებული ბიზნესისათვის სტიმულის მომცემი იქნება და საერთო ჯამში ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დიფერენცირებული ზღვრის არსებობა, არამედ ადმინისტრირების სისტემაში რიგი ცვლილებების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფონზე არაერთი ლოიალური მიდგომა შემუშავდა დაბეგვრის მექანიზმთან დაკავშირებით, კონკრეტულ საკითხებთან მიმართ მაინც გვხვდება ხისტი მიდგომები დღგ-ის ადმინისტრირებისას.

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ საწარმოთა მიერ მიღებული ავანსების დღგ-ით დაბეგვრა, რომელიც გარდა იმისა, რომ საქონლის მწარმოებელს „აიძულებს“ საქონლის წარმოებამდე/მიწოდებამდე განახორციელოს მიღებული თანხის მიხედვით დღგ-ის ბიუჯეტში გადახდა, ასევე ართულებს ადმინისტრირების ღონისძიებებს, იწვევს სამეწარმეო სუბიექტების მხრიდან უნებლიე შეცდომებს, რასაც თან ახლავს ჯარიმებისა და სანქციების მთელი პაკეტი და მძიმე ტვირთად აწვება ბიზნესს, იწვევს მის დასუსტებას.

ქვეყანაში არსებულმა არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგვრის სისტემამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს წინაშე დასმული ამოცანებისა და ღონისძიებების შესრულება. ამავდროულად, საგადასახადო განაკვეთის ოდენობა უნდა იყოს გონივრული და დიფერენცირებული, ხოლო გადასახადების ადმინისტრირების ღონისძიებები უფრო მარტივი, რაც ხელს შეუწყობს სამეწარმეო სუბიექტებს შეფერხების გარეშე განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია. URL: <https://matsne.gov.ge/document/view/1043717?publication=186> (გადამოწმებულია 8.11.2022)
2. პაპავა ვ., (2015) საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი.
3. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, კონსოლიდირებული ვერსია. URL: <https://matsne.gov.ge/document/view/91006?publication=51> (გადამოწმებულია 8.11.2022)
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო URL: <https://mof.ge>
5. Зуенко М., (2017) Основы влияния косвенных налогов на экономический рост. Российский государственный социальный университет. URL: http://www.vectoreconomy.ru/images/publications/2017/9/economic_theory/Zuyenko.pdf

(გადამოწმებულია 8.11.2022)

6. Enache C., (2022) 2022 VAT Rates in Europe. Tax Foundation. URL: <https://taxfoundation.org/publications/value-added-tax-rates-vat-by-country/>
(გადამოწმებულია 8.11.2022)

7. Victor A., (2010) VAT: a brief history of tax. The Guardian. URL: <https://www.theguardian.com/money/2010/dec/31/vat-brief-history-tax>
(გადამოწმებულია 8.11.2022)

FISCAL SIGNIFICANCE OF VALUE ADDED TAX AND ITS IMPACT ON ECONOMIC GROWTH

Lia Kheladze

The Candidate of Doctor Degree
Kutaisi University, Georgia
Lia.kheladze@unik.edu.ge

Natia Kurdgelia

PhD., Akaki Tsereteli State University
natiakurdgelia1976@gmail.com

KEY WORDS: Economic Growth; value-added tax; state budget

J.E.L. classification: E6, O01 DOI:<https://doi.org/10.52244/ep.2022.24.07>

For citation: Kheladze L., Kurdgelia N., (2022) Fiscal Significance of Value Added Tax and Its Impact on Economic Growth (in Georgian). Economic Profile, Vol. 17, 2(24), p. 41–47. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2022.24.07>

Summary

In terms of mobilizing financial resources in the budget, value added tax has a leading position among other taxes. The analysis of the fiscal value of the value added tax, how it affects the current processes in the economy and economic growth in general, is highly relevant. Indirect taxes are a mechanism that affects the formation of the final price of products, the profit of entrepreneurs, its profitability and, in general, the financial situation of economic entities.

Over the last few years, the system of taxation with value added tax (VAT) is developing more and more, its administration measures are being improved, reasonable benefits are established for the supply of various types of goods and services. The taxation mechanism is becoming closer to the European Union standards, although there are still a lot of shortcomings. Undoubtedly, as soon as the system of taxation with indirect taxes takes a more complete form, it will be a prerequisite for it to effectively perform the regulatory function of the economy. In turn, this will lead to an increase in production, an increase in the well-being of the society and economic growth.

Value added tax has an important fiscal function in the formation of budget revenues. According to the Budget Code, the equalization transfer was canceled and instead of this, VAT was introduced into the budget of local territorial units according to the respective municipalities. 81% of VAT will be credited to the state budget, and 19% - to the budgets of relevant local self-governing units. This approach is adopted in many developed countries. The mentioned method is an additional incentive for each local self-governing unit, as they are given the opportunity to plan the budget in a more targeted way, which will be the basis for the economic development of the respective territorial unit.

In general, indirect taxes affect both demand and supply. They are added to the price of goods and services and increase their value. Therefore, it is important to consider the impact of VAT on demand and supply and thus on economic growth.

If we look at the dynamics of economic growth in the recent period, we can be sure that there is a trend of economic growth. One of the reasons for this, along with many other factors, can be considered the recent changes in VAT, which made the indirect tax system more loyal.

The existing system of indirect taxes in the country should, first of all, ensure the fulfillment of the tasks and measures set before the state, however, at the same time, the amount of the tax rate should be reasonable